ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ოთხშაბათი, 20 ივნისი № 1500

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ტფილისის ქალაქის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ეკადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მელიქი—ყურის, ყელის და ცხვირის—11—12 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—12 საათამდე.

ა. ნ. მატინოვი—თვალის 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

ე. გ. ფილდორავი შინაგანი და საბავშვო—1 საათ. 2-მდე.

გ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო— $12^1/_2$ $1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოკოლოსოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.—5—6 საათზე.

ტ. მაღალაშვილი—კვირაობით—10—12 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები—შეთანხმებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წდ).

მრავროების ნებართვით

დეპუტატები დაბა ახალ-სენაკისა ამით აცხადებენ საყოველთაოდ, რომ აღნიშულ დაბაში ოცდა-ორს ამა ივნისიდან გაიხსნება

შვიდი დღის ბაზრობა

სადაც ვაჭრებს ნება აქვთ ივაჭრონ კარვებში გარეშე ყოველივე სავაჭრო საბუთებისა. გარდა ამისა, 29 ამ ივნისს დანიშნულია ცხენის **მარულა** საჩუქარით სიგრძეზე 12 ვერსტისა. პირველი საჩუქარი იქნება 50 მანათი, მეორე 30 მანათი და მესამე 20 მანეთი. (1—112—1)

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას:

მე-17 ვოლინის დრაგუნთა პოლკის ესტანდარ იუნკერს თ ა ვ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ს ებოძა კორნეტობა.

ჩარიცხულ იქმნა თერგის ყაზახთა პოლკის ხორუნჟი თ ა ვ. მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი სახელმწიფო ცხენის მომშენებელ უმთავრეს სამართველოში.

სამოქალაქო უწყებას:

სასამართლოს უწყების თანამდებობაზე უმფროს კანდიდატს გუბერნსკი სეკრეტარს ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ე ს ებოძა კოლეჟსკი სეკრეტრობა.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 ივნისა.

პეტერბურგი. 18 ივნისს საზღვარ-გარეთ წავიდა გერმანული სამხედრო დეპუტაცია გენერალის ფონ-მოლტკეს მეთაურობით.

როგორც გვატყობინებენ, წელს ზაფხულში მოსკოვში მოვა პრინცი ბატენბერგი მეუღლით.

ჩისტოპოლი. ორმოცი გრადუსი სიცხე დგას; ნათესები ძალიან დაზიანდა.

გროდნა. 18 მაისს პეტერბურგისა და ვარშავის შუა რკინის-გზაზე, მე-808 ვერსტზე, საქონლის მატარებელმა გასრისა ვიღაცა უცნობი, რომელიც თვით ჩავარდა ვაგონებ ქვეშ.

ყაზანი. დიდის სიცხეების შემდეგ, რომელთაც ერთი კვირა გასტანეს, 18 ივნისს დიდი წვიმა მოვიდა. ელვამ დაზიანა ერთი ადგილობრივ ეკკლესიის სამრეკლო. შიშისაგან გარდაიცვალა დეკანოზი სკვორცოვი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. როცა ლიბერალთა შორის განხეთქილება მოხდა, ხმა დააგდეს, რომ ლიბერალ-იმპერიალისტებს ჰემპბელ-ბანერმანის ბადლად ლორდ როზბერის დაყენება უნდათ პარტიის წინამძღოლადაო. „ეხლა „დეილი ექსპრეს“-ი იუწყება, რომ ლორდ როზბერის არავითარი წილი არ უდევს ასკვიტის განცხადებაში და იმ განხეთქილებაში, რომელიც ამ ჟამად ლიბერალთა შორის ხდება, სრულებით არ ურევიაო. როზბერის წინანდებურად არა აქვს სურვილი მთელი პარტიის, ანუ მისი რომელიმე ჯგუფის წინამძღოლობა იკისროს. „ექსპრეს“-ი ჰფიქრობს, რომ ეხლანდელ ბრძოლაში ზავის მომხრენი გამოვიდნენ გამარჯვებულები და არა ლიბერალ-იმპერიალისტებიო.

✡ ლონდონის პაციფისტების კომიტეტის თავჯდომარე, ფრედერიკ ჰარისონმა „დეილი ნიუს“-ში მეთხე წერილი დაბეჭდა მუშებისადმი. ჰარისონი პირველად ქ-ნ ბ. ჰობჰაუზის გამოკვლევის შინაარს უამბობს მუშებს; უამბობს, თუ რა გაჭირვებაში, რა წამებაში არიან ჩაცვენილი ბურების ქალები და ბავშვები ინგლისის სამხედრო ბანაკებში, რომ ბავშვების ნახევარი რიცხვი გასწყდაო და სხვას ამისთანას. და შემდეგ სწერს: „როცა ამის პასუხად გვეუბნებიან, რომ ბურების დედაკაცები კარგად ვერ უვლიან თავიან ბავშვებსაო, (ისეთი პასუხი სამხედრო მინისტრმა ბროდრიკმა მისცა დეპუტატს ლლოიდ ჯორჯს) ამისთანა პასუხით ბოროტებასა და უღირსობას შეურაცხყოფას ზედ უმატებენ როცა გვეუბნებიან, რომ 63,000 ტყვე ძნელი გამოსაკვებიაო, ამას 1,250,000 ფრანკი სჭირდებაო, ძალა უნებურად გკითხულობთ: თუ ეს მართლა ასე ძნელია და თუ ასეთი სამწუხარო შედეგი მოჰქონს, მაშინ ვინ ან რისთვის მოიგონა ამისთანა ჯოჯოხეთური წამება და ტანჯვა. ამ ხანებში მშვენიერი, ულის ამაძგერებელი სურათი გამოსცეს: ინგლისელი გენერალი პატარა ბურს კითხვას ასწავლის. ეხლა სხვანაირი სურათი უნდა დავხატოთ: ინგლისელი გენერალი ათვალიერებს ათასი ბავშვის სამარეს. ომი რადაც სისხლის ღვრად და შურის ძიებად გადაიქცა; ინგლისის სახელს რაც შეეხება, არა გვგონია, რომ ერთს საუკუნეში მოიწმინდოს ის ჩირქი, რომელიც ამ საზარელმა ომმა მოსცხო“.

✡ აფრიკანდერების დელეგატები მერიმანი და ზაუერი 10 ივნისს სამხრეთ-აფრიკაში წავიდნენ, მაგრამ ამათმა წასვლამ გავლენა არ იქონია სამხრეთ-აფრიკის ომის წინააღმდეგ ბრძოლაზე: ამ აზრით კრებები კიდევ იმართება. ქ. ბ. ჰობჰაუზის, რომლის გამოკვლევამ ბურების დედაკაცებისა და ბავშვების გაჭირვებულ მდგომარეობაზე როგორც საზოგადოების, ისე პარლამენტის დიდი ყურადღება მიიქცია, უკანასკნელ წარსულ ორშაბათს საჯარო კრება გამართა იმავე დარბაზში, რომელშიაც ამას წინად ზა...

ფელეტონი

ჩადის-ციხე

(მოხუცის ნაამბობი)

ვისაც საქართველოს სამხედრო გზაზედ უმოგზაურნია, უეჭველია, შეუნიშნავს სადგურ ფასანაურს და მლეთის შუა, არაგვის მარჯვნივ მხარეზედ გაშენებულს მაღალს მთაზედ პატარა სოფელს, რომელსაც ამ შენებს შუაზედ მოდგმარე მაღალი და მეტად მშვენივრად ნაშენები ციხე, რომელიც ისე დაჰყურებს ამ პატარა სოფელს, გეგონებათ არწივს დაუჭერია თავის ბასრს კლანჭებში თავიზედ მცირე და ულონო ფრინველი და ჰლამის გადაყლაპვასაო. მართლადაც, რომ დააცქერდეს და კარგად ჩაუფიქრდეს ამ ციხეს მნახველი, თვალწინ წარმოუდგება, თუ რა დიდს შემწეობას აღმოუჩენდა ამ პატარა სოფლის მცხოვრებთ იმ დროს, როდესაც მოადგებოდნენ ქვემოდან თავზედ ხელ აღებულნი ლეკნი და უმოდგმანაც მთიულების სისხლით გაუმაძღარნი ქისტნი.

აი, სწორედ ამ სურათის ნახვამ მომიყვანა აღფრთოვანებაში და ძალიან მომინდა ციხის ახლო ნახვა და კარგათ გაშინჯვა.

ამოვარჩიე ერთი მშვენიერი დღე და გავუდექი იმ სოფელში მიმავალს გზას. გავიარე ცოტა მანძილი და შევხვდი ერთს მეტად მოხუცებულს კაცს, რომელიც ჩამომჯდარიყო ერთს დიდს ქვაზედ და, თავ-ჩამოკიდული, რაღაც მწარე ფიქრებს გაეტაცნა.

—გამარჯობა შენი, მოხუცო!—მივესალმე.

მოხუცმა მძიმედ ამოიოხრა, ხელში ნაჭერი ჯოხი შორს გადისროლა და შემომხედა.

—ღმერთმა გამარჯვებით გამყოფოს, შვილო!

—ეს გზა პირდაპირ სოფელში მიმიყვანს?—დავეკითხე მე.

—დიახ, შვილო.

მოხუცებულმა დააპირა ფეხზედ დადგომა, მაგრამ ძალიან გაუჭირდა, მანამ მე არ მივედი და ვუშველე ფეხზედ წამოდგომა.

—დიდი მადლობელი, შვილო, ღმერთმა და ლომისა მთავარ მოწამემ ჩემი დროთაი მოგყაროს,—ამ ოხერმა ჯავრმა და სიბერემ ძალიან გამტეხა.

—რად გადააგდე, მოხუცებულო, ჯოხი? აბა ხელში რომ გჭეროდა, ხომ ეგრე არ გაგიჭირდებოდა ფეხზედ წამოდგომა.

—ეჰ, შვილო, გულები-ღა გვაქვს გატეხილები, ყველა შენისთანად ჩაცმული ყველაი „ჩინოვნიკაი“ გვგონია.—შენ რომ დაგინახე, შვილო, „აბეშიკაი“ მეგონე, „პარტაკოლი“ არ შემიყენოს მეთქი.

მოხუცებულმა მწარედ ჩაიცინა და გამომართვა ჯოხი; მე ძალიან გამიკვირდა ამ სიტყვებმა და ვკითხე:

—განა „აბეშიკები“ გიშლიან ჯოხების მოჭრას და ტარებას?

—დიახ, შვილო, ისე ვართ შეშინებულნი „აბეშიკებისაგან“, რომ სახლი გვექცეოდეს, ვერ შევბედავთ ერთაი საბოძიაი ხიაი გამოვჭრათ; თუ კი მოგვასწრეს, შენს მტერს დღე დაადგეს, რა დღესაც ისინი დაგვაყენებენ-კა. მაშინვე იმას გვეტყვიან: „თუ არ გინდათ, რომ მთავრობას დავასმინოთ, მოგვეცით თვითო ლიტრაი ერბო და ან ორი-სამი იორღაი ქათამი დაგვიჭირეთ, თორემ, მთავრობას რომ გავაგებინოთ, სულ სახლ-კარს გაგიყიდითო“.. ჩვენც იძულებულები ვხდებით ავუსრულოთ თხოვნა.

—იორღა ქათმები რა რის?—ამეცინა და ვუთხარი.

—რა არ-ს, შვილო, ჩვენი დაცინვა არის, სხო რა.

—მთავრობამ რომ გაიგოს, განა მართლა ეგრე მოგექცევათ, განა მთავრობა არ შევა თქვენს გაჭირვებაში, როცა კი გაიგებს თქვენს ცხოვრებას?

—რა ვიცით, შვილო, ჩვენ მართალი გვგონია. მაგას კიდენ ვინ ჩივის, შვილო, წამდა-უწუმ მოგვიცვივდებიან ჩაფრები მათრახების ცემით, დავიდარაბით და ლანძღვაგინებაით: „ამ საათში მოამზადეთ ხარები და ურმები, ბეგარა არის, უნდა წაიღოთო“. ჩვენ რაღა ძალი გვაქვს, უნდა აუშვათ ხარები, თუ გუთანში და ან კალოში გვიბია, და გავწიოთ ბეგარაზე; მაგრამ მოგვიბრუნდებიან-კა ამ სიტყვებითა: „მაშ კარგი, თითო მანეთაი მოგვეცით თითო უღელ ხარზე და გასწით შინისკენა, ჩვენ წავალთ, სხვა სოფლიდან გამოვერეკავთო“. ჩვენც, როგორც მოგეხსენებათ, შვილო, ერთაი მანეთაის გაღება გვირჩევნია ხარ-გუთნის მოცდენასა. მაგრამ რა ეგ, შვილო, რა სხვა, ეჰ!..

—განა არ შეგიძლიათ, უმაღლესს მთავრობას შეატყობინოთ?

—ეჰ, შვილო, ბარემა შეგვიძლიან, მაგრამ... მაგრამ ვინ მიგვახწევინებს და ან გვაჩივლებს მთავრობასთან.

ამ სიტყვების თქმაში მოხუცებულს რამდენიმე ცრემლი გადმოვარდა თვალებიდან და ჩამოგორდა იმის ფერ-მიმკრთალ ლოყაზე. ამოიღო ჯიბიდან გრძელ ტარიანი ჩიბუხი, გაავსო თამბაქოთი და ტალ-კვესით მოუკიდა ცეცხლი.

—წინად სად იყო, შვილო, ეს ამბები, რასაც ეხლა ვხედავთ. არც ბეგარა ვიცოდით მაშინ, არც „აბეშიკები“ და არც კიდენ ბევრაი სხო... როგორც ვხედავ, შვილო, ისეთი დრო დადგება, რომ ლუკმაიპურისა გვეკვეთებოდეს საქმელადა, მე-კი იქნება ვეღარ მოვესწრო, მაგრამ შენ დიდხანს გაცოცხლოს ღმერთმა, შენ კი შაესწრობი.

ჩქარ-ჩქარა გამოსწია მოხუცმა თავის ჩიბუხიდან ბოლი და ისეთი საშინელი ხველა აუვარდა, რომ ვიფიქრე, სული არ ამოაყოლოს-მეთქი. ბოლოს მობრუნდა და წმინდა ხმით მითხრა:

—უკაცრავად, შვილო, შეგაფე ხე, იქნება საჩქარო საქმე რამე გქონდა სოფელაშია, მაგრამ მე კი ამტვენი ყბენდობით შეგაწყინე თავი.

—სრულებითაც არა.—ვუპასუხე.

ვის მეგობრების კრება მოხდა. მაგრამ უკანასკნელ წამს დარბაზის პატრონმა უარი თქვა და ნება აღარ მისცა, რომ კრება მოეხდინათ. მაშინ ქ. ბ. ჯაბდოუზმა გადასწყვიტა მეორე ადგილას, ვესტმინსტერის დარბაზში გაემართა კრება; თავმჯდომარეობა გერესფორდის ეპისკოპოსმა იკისრა; მაგრამ «მამულიშვილების» გაზეთებმა ისეთი მედგარი და გაშმაგებული ბრძოლა გამართეს კრების წინააღმდეგ, რომ ხსენებული დარბაზის პატრონებსაც უწესოების შეეშინდა და შეშინებულმა სთხოვა ქ. ბ. ჯობდოუზს, თუ ღმერთი გწამთ, სხვაგან სადმე გამართეთ ეგ თქვენი კრებაო. «მამულიშვილები» ათას დაბრკოლებას უჩენენ, მაგრამ იმედია, რომ ქეთილშობი მოღვაწე-ქალი თავისას არ დაიშლის და უსათუოდ გაჰმართავს კრებას ჩაგრულთა და წამებულთა სასარგებლოდ.

✡ გაზეთი «სპიკერ»-ი ამბობს, რომ ჩემბელენის ოჯახობა 20%, 1 მანეთში—20 კაპ., სარგებელს იღებს იმ ფულისას, რომელიც «კაინო და ამხანაგობა»-ს საზოგადოების საქმეში აქვს შეტანილი. ეს ამხანაგობა ასაფეთქებელ მასალას ამზადებს და ინგლისის ჯარს აბარებს სამხრეთ-აფრიკაში. ბურებთან ომმა 200,000,000 გირვ. სტერლ. შთანთქა, ინგლისის ერი მძიმე გადასახადებს იხდის, ინგლისის დანარჩენი მრეწველობა და ვაჭრობა დაეცა, «კაინომ და ამხ.» საზოგადოებამ კი თავის წევრებს 1 მანეთში აბაზი მოგება დაურიგაო,—გულის წყრომით ამბობს გაზეთი.

საფრანგეთი. რადიკალთა კონგრესის მეორე სხდომაზე თავმჯდომარედ ბრისსონი იყო ამორჩეული. ბრისსონმა დიდი პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა; ორატორმა სთქვა, რომ მემარცხენეთა პარტია არა თუ მარტო მონარქისტებს და ნაციონალისტებს, მელინის პარტიასაც უნდა ებრძოდესო.

«კლერიკალებმა, მონარხისტებმა, ცეზარისტებმა და მელინისტებმა იერიში მოიტანეს რესპუბლიკაზე,—სთქვა ბრისსონმა,—და ჩვენ ეს იერიში უნდა მოვიგერიოთ. მე ნება მაქვს «მელინისტების» იერიშზეც ვილაპარაკო, რადგანაც მელინმა რომ რემორემანში სიტყვა წარმოსთქვა, მეორე დღესვე კლერიკალურმა გაზეთმა «უნივერ»-მა დასწერა: «ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი საზოგადო არჩევნებში მელინთან ერთად ვიმოქმედოთო»; ეხლა დროა საქმეს შევუდგეთ. საჭიროა, რომ მხნე მთავრობას დავუმკვიდროთ ძალა, ამ მთავრობას მკვიდრი, მტკიცე და გარკვეული უმეტესობა უნდა აძლევდეს მხარსა, რათა დაწყებული საქმე რიგიანად დაამთავროს,—დომინიკანელებს, იეზუიტებს და მარისტებს საფრანგეთის ახალგაზრდობის სწავლების უფლება ხელიდან წაართვას. მხოლოდ ამ გზით აღვადგენთ ჩვენ ქვეყანაში ზნეობრივს ერთობას. მელინის ფორმულას, რომელიც ამომრჩევლებს ეუბნება: ორში ერთი უნდა აირჩიო, ან «ლიბერალური რესპუბლიკა, ან და იაკობინთა რესპუბლიკა»,—ჩვენ მცირე ფორმულა დავუყენოთ წინა: «საფრანგეთმა ან რესპუბლიკის კანდიდატებში უნდა აარჩიოს, ან და იეზუიტებისა» (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

მესამე სხდომაზე,—ეს სხდომა უკანასკნელი იყო,—თავმჯდომარედ ბურჟუა იყო არჩეული. ბურჟუამაც ნაციონალიზმისა და კლერიკალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ურჩია მემარცხენეთ და თანაც შემოსავალზე გადასახადის დაწესების საჭიროება აღნიშნა. თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ პელტანმა კონგრესის კომისიის მიერ შედგენილი დეკლარაცია წაიკითხა. ამ დეკლარაციაში უსაჭიროეს რეფორმების პროგრამაა მოყვანილი.

«თავდაპირველად აუცილებლად საჭიროა, ნათქვამია დეკლარაციაში —ის რეფორმები, რომლებიც კლერიკალურ საფრთხის წინააღმდეგაა შედგენილი. კანონი კონგრეციების წინააღმდეგ უკვე მიღებულია. ქვეყანას იმედი აქვს, რომ ეს კანონი სასტიკად იქმნება შესრულებული. მაგრამ მეორე საფრთხეც არსებობს და ეს საფრთხე დღე და დღე ძლიერდება. ესაა ძლიერება იმ სპეკულიანტებისა, რომლების ხელშიაც დიდი კაპიტალი მოგროვდა. აუცილებლად საჭიროა, რომ ქვეყნის საზოგადო ინტერესები, თავისუფლება და ყველას ქონება კაპიტალის ბატონობისაგან დავიცვათ; ამისათვის საჭიროა აჟიოტაჟის წინააღმდეგ კანონები გამოვცეთ და აგრეთვე აუცილებელია, რომ ზოგიერთი დიდი საქმე კერძო პირებს ჩამოვართვათ და სახელმწიფოს გადავცეთ. სოციალურ რეფორმათა შორის საჭიროა მუშებისათვის საპენსიო კასსა დაარსდეს და ღონისძიება მივიღოთ, რათა მუშა მშვიდობიანი ევოლუციის საშუალებით თავისი შრომის იარაღის მესაკუთრე გახდეს და რათა ეს შრომაც სამართლიანად ჯილდოვდებოდეს. საფინანსო რეფორმათა შორის პირველი ადგილი შემოსავალზე პროგრესიული გადასახადის დაწესებას და საადგილ-მამულო გადასახად რეფორმას უნდა დაეთმოს. ამას გარდა, საჭიროა სამხედრო სამსახურის ვადა ორ წლამდე შემცირდეს. ასეთია მოკლედ ჩვენი პროგრამმა».

კრება ძლიერის ადტაცებით მიეგება დეკლარაციას. ამის შემდეგ კრებამ რესპუბლიკის პრეზიდენტს თანაგრძნობის ადრესი გაუგზავნა და თავმჯდომარემ კრება დახურა.

ახალი ამბავი

✦ როგორც წინათაც გვქონდა მოყვანილი, რეალურ სასწავლებელში კურს-დამთავრებულთ ნება მიეცათ სამხედრო-საექიმო აკადემიაში სტუდენტად შესვლისა, თუ ისინი დამატებით ეგზამენს დაიჭერენ ლათინურ ენაში 4 კლასის პროგრამის მიხედვით. ეხლა სატახტო გაზეთები იტყობინებიან, რომ ამ ნებართვას ძალა ექმნება მხოლოდ 1902 წლიდან.

✦ ტფილისში ჩამოვიდნენ საინჟინერო ინსტიტუტის ის სტუდენტები, რომელთაც უნდა ააშენონ შავი ჭირის კარანტინები ოსმალეთისა და სპარსეთის საზღვრებზე.

✦ წელს, 18 ივნისამდე, ქალაქის საბჭოს ჰქონია სულ 43 სხდომა. რადგანაც უკანასკნელ სხდომაზე ვერ მოასწრეს ყველა საქმეების განხილვა, ამიტომ ერთი სხდომა კიდევ ექნება ეგრედ წოდებულ „საბჭოს ვაკაციებამდე“.

✦ მოგვყავს ზოგიერთი ცნობა ახლად დაბეჭდილ ანგარიშიდან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მოქმედების შესახებ 1900 წლის განმავლობაში.

საანგარიშო წლის დამლევს საზოგადოებაში ითვლებოდა 669 წევრი: 8 საპატიო, 73 დამფუძნებელი და 588 ნამდვილი. საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰქონდა თავის ხარჯზე 3 სკოლა: კავკავისა, ბათუმისა და გომარეთისა; სამი სკოლა, რომლებზედაც საზოგადოება ჰხარჯავს ერთ წილს: ხელთუბნისა, წინარეხისა და თიანეთისა; სკოლები, რომელთაც ქუთ. სათავად-აზნ. ბანკი ინახავს: ქუთ. სათავად-აზნ. სკოლა და მისი განყოფილება ძველი სენაკში. იმავე წელს საზოგადოებას ჰქონდა 6 სახალხო ბიბლიოთეკა და მე-7 გაუხსნია სოფ. შილდაში (თელავის მაზრა). საანგარიშო წელს საზოგადოებას დახმარება აღმოუჩენია სკოლებისა და ბიბლიოთეკებისათვის ფულით, წიგნებით და სასწავლო ნივთებით, სულ—615 მან. 98 კ. საზოგადოების წიგნთ-საცავს საანგარიშო წელს მიმატებია 127 წიგნი ქართულს ენაზე და 48 უცხო ენაზე. სულ წლის დამლევს იყო ქართული წიგნი და ხელ-ნაწერი 3355 და უცხო ენაზე 1254. 1900 წელს საზოგადოებას დაუბეჭდია ხუთი წიგნი: 1) დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა; 2) კრებული, რ. ჯაჯანაშვილისა, 3) წყარო, არ. ქუთათელაძისა, 4) სიმღერები (ნოტები), ფ. ქორიძისა და 5) ივანენამ რა ჰქმნა? ი. გოგებაშვილისა. საზოგადოებისა სხვა და სხვა საგანგებო თანხებში საანგარიშო წელს ყოფილა 10 602 მან. 34 კ.; აქედან დახარჯულა: 660 მან. დ. ბაქრაძის ძეგლისათვის და სხვა წვრილმანი: ასე, რომ წლის დამლევს ყოფილა 10.282 მან. 34 კ.; საწევრო ფული საანგარიშო წელს შემოსულა 747 მ. 50 კ.; ყულაბებით შემოსულა 187 მ. 99 კ.; შემოწირულება ყოფილა: ბაქოში გამართულ სალამოდან—1500 მ., გაგჯაში გამართულ სალამოდან—400 მ., ი. ს. ჯაბადარისაგან—500 მ., რ. ნ. ყაზბეგისაგან—350 მ. და სხვა წვრილმანი, სულ შემოწირულება—3046 მ. 24 კ.; საქველმოქმედო ბაზრიდან შემოსულა 1928 მ. 19 კ.; წიგნების ვაჭრობის მოგება ყოფილა 1917 მ. 48 კ. სულ 1900 შემოსავალი ყოფილა—19.990 მ. 41 კ.; გასავალი 19.235 მ. 15 კ., ასე რომ გადამეტებული შემოსავალი არის 755 მ. 26 კ.

✦ 24 ამ თვიდან ჩვენის თეატრის მსახიობთ ვ. აბაშიძისა და ვ. გუნიას მეთაურობით განუზრახავთ ორიოდე წარმოდგენის გამართვა დ. საჩხერესა და ჭიათურაში. წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, სვიმონიძე და სხვანი. წარმოდგენილი იქნება ზ. ანტონოვის „მე მინდა კნეინა გავხდე“, აზიანის „ფული და ხარისხი,“ ვ. გუნიას „პირველი ბუზი“, ავ. ცაგარლის „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“ და სხვა ვოდევილები და კომედიები.

✦ მომავალ 22 ივნისს კავკასიის მთაგარ-მართებლის კანცელარია კოჯორში მიდის.

✦ სუვოროვის სახელობაზე დაარსებულ კადეტთა კორპუსში არის 10 სტიპენდია სუვოროვისავე სახელობაზე. ერთი სტიპენდია ამ ათიდან ეკუთვნის „გრუზინსკი“ პოლკის აფიცრის შვილებს.

— იქ ვისთან გასჯილხარ? მოკეთიაი ვინმე გეყოლება, არა?

— არა! მე მინდა ახლოს გავსინჯო ის ციხე და სოფელი, რომლებიც ძალიან მომწონს და მაკვირვებს.

— მაშ კარგი, შვილო, ნახა ეგრე გესიამოვნება ციხის დათორიელება, მე გამოგყვები, ყველას გიჩვენებ და ერთი პატარა ამბავიც ვიცი მამიჩემისაგან გაგონილი ამ ციხის თაობაზე და იმასაც დაგითვლი.

მე ძალიან გამეხარდა და მადლობა გადავუხადე.

— უკაცრავად, მამობილო, თქვენი სახელი არ ვიცი!

— მე შიოლას მეძახიან, შვილო. შენ რაღა დაგიძახო?

მე ვუთხარი ჩემი სახელი და გავუდექით გზასა სოფლისაკენ.

როდესაც მივედით სოფელში, მოხუცმა შემიყვანა ციხის გალავანში და ყველა ციხის კუთხეები დამატარა. მართლა ძალიან გამაკვირვა ციხის ამ ნაირმა ნაშენობამ. გამოვედით ციხიდან და დავსხედით გალავანში მშვენივრად ამწვანებულს ბალახზე. მოხუცებულმა რამდენჯერმე ჩაახველა, თითქო ხმა ამოიწმინდაო, და დაიწყო ამბავის თქმა.

— მამაჩემი, შვილო, სულ არ იქნება ათი წლისწადი, რაც გარდაიცვალა ესეთივე მოხუცებულაი, როგორსაც მენა მხედავ. ერთხელ შემადგომა იყო, ხალხს ყველა პირნახული სახლში ჰქონდა მოგროვებული და დღე დღეზე მოველოდით ზამთარსა. იმდროს შეყრილიყვნენ ჩვენს სახლის ბანზე ხალხი და რაღაც ამ ციხის თაობაზე ლაპარაკაი გაებათ. მაშინ მამაჩემმა უთხრა: „ბევრჯელ დაუხსნივართ ამ ციხეს ურჯულო ქისტებისაგან. ერთხელ, როდესაც ყველა სოფლელები მთაში ვიყავით გასულები სათიბაოდა და დიაცების და ბალღების მეტი არავინ იყო სახლებშია, დასცემოდნენ სოფელს ურჯულო ქისტის ჯარი და სულ ერთიანად გაერეკათ საქონელი, აეოხრებინათ სოფელი და ერთი შიოლიანთ ნინ-კაის მეტად ლამაზაი ქალაის წაყვანაც მოენდომნა, მაგრამ ქალაის დედას რომ დაენახნა თავისი დედის ერთაი მარიამაი ქისტების ხელშია, მაშინვე ჩამოეღო ქმრის ხმალი, გამოვარდნოდა ქისტებს და პირდაპირ სცემოდა იმასა, რომელიც ძლივს იმაგრებდა, თურმე, მარიამს, და ორივე ხელები ჩამოეთალა ხმლითა, მაგრამ შემორტყმოდნენ გარეშემო ურჯულონი და ორივენი ლუკმა-ლუკმა აეკაფნათ. ჩვენთანაც მოვიდა სოფლიდან დიაცი და ყველაფერი დაწვრილებით გვიამბო. ჩვენაც, რასაკვირველია, შინ რომ წამოვსულიყავით, ველარ მოვუსწრობდით ძაღლებსა, ავდექით და ვირჩიეთ ისევ ნაბაკრის მთის გადასავალში შაგვეკრა გზები. მზე კარგად იყო მთებზე გადახრილი, როცა მოგვადგენ ქისტები, უამგოდ ნაშოვნი ქონებაითა და უნდოდათ თავისუფლად გადაევლო მთაც, როგორც თავისუფლად აიკლეს სოფელი, მაგრამ თქვენს მტერს დაადგეს ის დღიაი, რიაიც იმათ დავაყენეთ და სულ ერთიანად წავართვით, რაც-კი გამოეტანათ ჩვენი სახლებიდანა. სამოცამდე ქისტი იქვე ჩავაძაღლეთ და იინც გაგვექცნენ, იმათ მუქარაი შემოგვითვალეს: „როდისმე დაგეცემით და სულ მიწასთან გაგასწორებთო.“

მოხუცებული, ცოტა სიჩუმის შემდეგ, ფეხზედ წამოდგა და მითხრა:

— შინ წავიდეთ, შვილო, მგონია, სადილობაი კიდეც არის, მამშივდა რასმე, ცოტაი პურაი შავჭამოთ და მერე დავასრულებ ამ ამბავს.

მე გავყევი სახლში სადილის საჭმელად. სადილის შემდეგ შიოლამ გააბოლა თავისი საყვარელი ჩიბუხი და განაგრძო ამბის თქმა.

— არ გამოუვლია ორს კვირიას მას შემდეგ, რაც ურჯულოები დაგვემუქრნენ, მოვალთ და აგიკლებთო,—ერთს სალამოსაც ესრედვე ვიყავით ხალხი სახლის ბანებზედ შეყრილნი, როგორც ეხლა, მოგვივიდა მთხრობელაი, რომ ქისტის ჯარი დაეცა ამირთკარს და სულ ერთიანად მიწასთან გაასწორეს თავის სიმრავლითაო. ჩვენაც, გავიგეთ თუ არა ეს საზარელაი ამბავი, მაშინვე შავეხიზნენით ამ ჩვენს ერთად ერთს იმედ ციხეს და თანაც რამდენიმე ხნის საგზალი და ტყვია-წამალი შავიტანეთ, რომელაითაც უნდა გვემასპინძლა დაუპატიჟებელ სტუმართათვის, რომლებისაც იმედაი გვქონდა, დღეს თუ ხვალ უნდა გავმხდარიყავით ამათი სტუმრობის ღირსნი. მართლა, მეორე დღეს სალამოზედ გაიმა თოფის ხმა შორიდან, ასე ჰგონია ქორწილია და მახარობელი მოვიდა სახლშიო; მიჰყვა მეორე, მესამე და მოადგენ ციხეს საშინელაი კივილი ყიჟინითა აუარებელ ქისტის ჯარი. მაშინ ციხის მეთავემ ბერამა გვითხრა, რომელაიც ძალიან გამოცდილაი იყო: — „აბა შვილებო, ყველანი მიუსხედით სათოფურებში მაგ ურჯულოების გასაბუგავადა, ნუ შაგეშინდებათ, შვილებო, ბევრი ამისთანა უნახავს ამ ჩვენს ციხესა და ასე მედგრად დაჰხვედრია მტერსა, რომ ფჩხილაის სწორაი ქვიაიც-კი ვერ შაუგდებინებიათ. ეხლაც, შვილებო, დარწმუნებულები იყავით, ესრედვე დაუხვდება ამ ურჯულოებსაცა. აბა ვინძლივ ყველამ შუბლებში უმიზნოთ ამ ძაღლებსა, რომ დარწმუნდნენ, თუ რა ნაირ შვილებსა ზის კრუხივით ეს ჩვენი ციხე.“

ბერამ გაათავა თუ არა ეს სიტყვები, მიუჯდა თავის გძელი ყირიმას თოფით სათოფურში და მართლა შიგ შუბლაში დაამგერა ტყვიაი, იმ ურჯულო ქისტს, რომელიც შამომდგარიყო გალავანზე და რაღასაც ხმა მაღლა უკივოდა ამხანაგებსა, იმ უბედურმა ერთი-კი დაიკივლა „ალაია“-ო და გადაკოტრიალდა გალავნიდანა. ჩვენც ყველამ ამის დანახვაზე დავაგრიალეთ თოფები და რამტვენიმე ძაღლი ქისტი დაემხო მიწაზედა. მტრის ტყვიაც ბევრი ჰხვდებოდა სეტყოსავით ჩვენს ციხეს, მაგრამ უკანვე ქვევდებოდა. ბევრი ღონის-ძიებანი იხმარეს ურჯულოებმა ციხის ასაღებადა. ხან ცეცხლაი წაუკიდეს, ხან რა უყვეს, ხან რა, მაგრამ ვერაფერი ვერა დააკლეს-რა. ჩვენ კი ჩვენსას არ ვიშლიდით და გაძალებულები ვესროდით თოფებსა, ხან ჩვენ, ვაჟკაცები, და ხან, როცა ვიღალებოდით — დიაცები, რომლებიც ჩვენ არაფერში გვივარდებოდნენ და მამაცურად აძლევდენ მტერს პასუხსა.

ერთს ღამეს, როდესაც თოფის სროლა შესწყვიტეს ურჯულოებმა და ჩვენაც აღარ ვაძლევდით პასუხსა, ბერა წამოდგა და გვითხრა: „მე როგორც ვხედავ, შვილებო, ტყვია-წამალაი გველევა და საკვებავიც თითქმის ერთს დღესაც მძლივ-ღა გვეყოფა და ამ ციხიაში რომ ვისხდეთ, ვერა-

✦ რადგანაც საალმშენებლო ნაწილის სავალდებულო დადგენილებანი უსიამოვნებას და საჩივარს იწვევს მცხოვრებთა შორის, გამგეობას საჭიროდ უცვნია შესცვალოს ხსენებულ დადგენილებათა მე-24 §, რომელიც ეხება შენობათა სიმაღლეს.

✦ ლ დო ალნაშვილის გადასაცემად კიდევ მივიღეთ ოლღა ნიკოლოოზის ასულის ლამბაშიძისაგან ხუთი მანეთი და ქრელაშვილისაგან—2 მ. ამით შესდგა სულ 27 მანეთი.

✦ სად. სოლანლუღიდან გვწერენ: „18 ივნისს, ღამის 11 საათზე, ტფილისიდან მომავალი მატარებელი, № 74—75, სოლანლუღში შესვლის დროს ლიანდაგიდან გადავარდა. უკანიდან სახალხო ვაგონები მიეხალნენ ლიანდაგიდან გადამცდარ ვაგონებს. წინა ვაგონის ბაქანზე მდგარიყო 2 მგზავრი (როგორც ამბობენ, მამა და შვილი) და როდესაც ეს ვაგონი მიეჯახა ბარგის ვაგონს, ისინი შუაში მოექცა. ერთი პატარა იქვე მოკვდა, ხოლო მეორეს თეძოები აქვს დამტვრეული. მისი მორჩენა საეჭვოა. დაჭრილი გაგზავნეს ტფ. რკინის გზის საავადმყოფოში. ამ მგზავრთ წასასვლელი ბილეთი არ აღმოაჩნდათ, როგორც ამბობენ, რკინის გზის მომუშავენი არიანო. გზა 27 საჟენის სიგრძეზე გაფუჭდა. ბარგის ვაგონი დაიმტვრა და ორთქლ-მავალი დაზიანდა. სხვა მგზავრთ არაფერი დაშავებიათ“.

✦ ხვალ, 21 ივნისს, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ექმნება ქალაქის სკოლების კომისიას, რომელსაც განსახილველად აქვს 7—8 მიმდინარე საქმეები.

✦ მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის კურსებზე მუშტაიდში ჩაეწერა 40 კაცი, ამათ შორის ცხრა ქალია.

✦ ყორჩიბაშევის მკვლელი მელიქოვი პოლიციამ შეიპყრო გუშინ წინ, 18 ივნისს. ეს შვილია ალექსანდრეპოლის მაზრის მცხოვრებისა და აქ ნაცნობებთან თურმე სცხოვრობდა (გუშინ შეცდომით გვქონდა მოყვანილი, ვითომც ის თავის დედ მამასთან იდგა). მელიქოვის ჩვენებით, მკვლელობის მიზეზი ყოფილა ფულის ანგარიში, რომელიც მას ყორჩიბაშევთან ჰქონია.

✦ გუშინწინ, 18 ივნისს, მალაკნების ქუჩაზე, გაბაშვილის სახლის ახლო ნახეს ორგან დაჭრილი კაცი, რომელიც აღმოჩნდა მანგლისელი გლეხი პეტრე შევჩენკო. ვიღაც ტერ-ასატუროვს ჩხუბი მოსვლია ავჭალის ქუჩაზე ახალგაზდა ბიჭებთან და ჩხუბის დროს იქედან გამოქცეულა. მის მოჩხუბრებს დაუწყიათ ყვირილი— „არ გაუშვათ, დაიჭირეთო“. ეს გაუგონია შევჩენკოსაც, რომელიც გაბაშვილის სახლთან მჯდარა და ფეხზე წამომდგარა ამბის გასაგებად. ასატუროვს ჰგონებია, დაჭერას მიპირებსო და დანით ორგან (მკერდში და ხელში) დაუჭრია. პოლიციამ მალე შეიპყრო დამნაშავე, რომელიც გამოტეხილა თავის დანაშაულობაში.

✦ გაზ. «ნოვ. ობოზ.“-ს შეუტყვია, რომ ფინანსთა სამინისტროს უკვე გადაუდვია საჭირო ფული ნავთის მილის ხაშურიდან ბაქომდე გასაყვანად.

✦ გაზ: „მშაკის“ სიტყვით, ლონდონში გამოსულა ინგლისურ ენაზე ახალი წიგნი ახალგაზდა მეცნიერის გენრი ლანჩისა— „არმენია“. წიგნი ეხება სომხეთის ისტორიას, გეოგრაფიას და ეტნოგრაფიას. წიგნში 800 გვერდია in 4°-და ჩართული აქვს სომხეთის რუქა საუკეთესოდ შედგენილი.

✦ გუშინ-წინ, 18 ივნისს, მომრიგებელ მოსამართლეს უნდა განეხილა საქმე წიგნის მაღაზიის პატრონის ხიდეკელისა და სიონისტების საზოგადოების თავმჯდომარის ბ. შტრეიხერისა. ხიდეკელს შტრეიხერის წინამოადგილის რაზამატის შეკვეთით გამოუწერია პალესტინის რუქა, 26 მანეთად ღირებული და გადაუცია შტრეიხერისათვის. ფული კი აქამდე (3 წელიწადია) არ მიუღია. შტრეიხერმა განუცხადა მოსამართლეს, რომ მას არივითარი რუქა არ მიუღია ხიდეკელისაგან და ამიტომ სიონისტების საზოგადოება არ ირის მოვალე მისცეს ხიდეკელს ფულებიო, რის დასამტკიცებლად ითხოვა მოწმეების (ექ. რაზამატის, ექ. ლიბროლხოვსკის და სხვ.) ეკითხოსო. ხიდეკელმაც ეგევე ითხოვა. ამიტომ მომრიგებელ მოსამართლემაც გადასდო საქმის განხილვა მოწმეების ჩვენების ჩამორთმევამდე.

✦ კვირას 17 ივნისს ნაძალადევში, პოლიციის მე-10 ნაწილში, საღამოს 6 საათზე ჩხუბის დროს ნიკოლოზ სოხაძის დუქნების წინ თერგის ოლქის მცხოვრებს ანზოროვს ხანჯლით დაუჭრია გიორგი ჰოხონელიძე, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

✦ პერლოვის წისქვილიდან გაუფრთხილებლობით მტკვარში ჩავარდნილა ტფილისის მცხოვრები ნიკოლოზ ვორონინი და დამხრჩვალა; დამხრჩვალის გვამი ჯერ არ უნახავთ.

✦ ორშაბათს, 18 ივნისს, პოლიციის მე-4 ნაწილში, განთვის ქუჩაზე, ტფილისის მეორე გილდის ვაჭრის გერმან ვერნერის ბინაზე შეპარულან ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი და მოუპარავთ სხვა და სხვა ნივთები 400 მანეთის ღირებულობისა. ქურდები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

პრესსა

„მოსკოვ. ვედომ.“ დროგამოშვებით გაიხსენებენ ხოლმე კავკასიას და მოჰყვებიან თავისებურად უცნაურს სჯა-ბაასს ჩვენებურ საქმეებისა გამო. ბოლო დროს „მოსკოვ. ვედომ.“ სწერენ „კავკასიის დამშვიდების“ შესახებ და საუკეთესო საშუალებად აღიარებენ „კავკასიელთათვის იარაღის ჩამორთმევას“.

„თუ იარაღი კულტურულ და კეთილხასიათის ადამიანის ხელშიაც საშიშიაო,—ამბობს გაზეთი,—ადვილად გასაგებია, როგორ არის ის საშიში კავკასიის მკვიდრის ხელში, იმ კავკასიელისა, რომლის სიფიცხე და ველური ხასიათი ყველას მოეხსენებათ. უწინდელ დროში, როდესაც კავკასიაში წესიერად არ იყო მოწყობილი ადმინისტრაცია, რომელსაც შეეძლო დაეცვა პიროვნება და მცხოვრებთა საკუთრება, ყოველი მცხოვრები თვით უნდა ყოფილიყო შეიარაღებული, რათა დაეცვა თავისი თავი და ქონება; იმ დროში, მართალია, მცხოვრებთა შეიარაღება საჭირო იყო, მაგრამ ეხლა ყოვლად შეუძლებელია გავამართლოთ რაიმე მოსაზრებით მცხოვრებთა შეიარაღების საჭიროება... ამბობენ, კავკასიელთ იარაღი სჭირიათ ავაზაკების მოსაგერებლადო. მაგრამ ავაზაკობის მატიანე ამტკიცებს, რომ იარაღი ვერაფრად შველის არა-თუ მცხოვრებთ, არამედ ადმინისტრაციის პირთ და დარაჯთაცაო. სანამ კავკასიელს ხელში ექნება იარაღი, სანამ მას არ აეხსნება ხმალ-ხანჯალი, მანამდის მას არ ძალუძს ბოროტად არ მოიხმაროს იგი და, ამიტომაც, ქვეყანაში მანამდის არ დამყარდება მშვიდობიანობა და უშიშრობა“.

ეს პროექტი „არ ახალია, ძველია“; პირველად არ მიუთითებია რეაქციონურს პრესსას ამ საგნისათვის. ტყუილად კი არ ამბობს გაზეთი „ნოვოსტი“: „კონსერვატიულს გაზეთებს ზაფხულში მასალა შემოაკლდებათ და მაშინვე „კავკასიის დამშვიდებაზე“ იწყებენ სჯა-ბაასსო... მაგრამ უბედურება ის არის, რომ ყოველ საჭირ-ბოროტო საგანს ეს გაზეთები საკვირველის სიმარტივით, მეტად უბრალო საშუალებით გადასწყვეტენ ხოლმე. მაგალითს ზემოდ მოყვანილიც გვიჩვენებს: ახსენით იარაღი კავკასიელთაო, ოცნებობს გაზეთი, და კავკასიაში მშვიდობიანობა დამყარდებაო!..

ქალაქის საბჭო

18 ივნისი.

ორშაბათს, 18 ივნისის სხდომაზე საბჭომ განსახილველად დანიშნულ 24 საქმიდან, მხოლოდ 5 საქმის განხილვა მოასწრო. სხდომა დაიწყო საღამოს 9 საათზე და დაესწრო 26 ხმოსნამდე; 11 ივნისის სხდომის ოქმის შეუცვლელად დამტკიცების შემდეგ წაკითხულ იქმნა უმართებულეს სენატის ბრძანება, რომლითაც გაუქმებულ იქმნა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომ იმნაძეს ნება არ მისცემოდა რიყის ქუჩაზე სახლის აშენებისა. სენატი თვის ბრძანებაში ამბობს, რომ ეს საქმე საბჭომ ხელმეორედ უნდა გადაათვალიეროსო; საბჭომ მიიღო ეს ბრძანება აღსასრულებლად. საბჭომ აგრეთვე მიიღო ქალაქის გამგეობის დადგენილება, რომლითაც უნდა გადადებულ იქმნეს 1140 მან. წყლის საზიდ ქუჩაზე (ვოდოვოზნის ქ.) საინჟინერო არხის შესაკეთებლად. თუმცა საბჭოს საფინანსო კომისია არ დასთანხმებია გამგეობას ამ არხის გაყვანაში, ხოლო კომისიის აზრით, არხის ხარჯში აღნიშნულ ქუჩის მცხოვრებთაც უნდა მიიღონ მონაწილეობაო.

მხითხველებს ეხსომებათ ბ. პ. ვესელოვზოროვის წინადადება, რომ რაიმე კეთილი დაწესებულებით პატივი ეცათ მისის იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრინის ოლგა დეოდორეს ასულის სახელისათვის. საბჭომ თითქმის ერთხმად მიიღო ქალაქის გამგეობის დადგენილება, რომლითაც გადადებულ იქმნა 840 მან. ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიაში დიდის მთავრინას ოლგა თეოდორეს ასულის სახელობაზე ორის სტიპენდიის დასაარსებლად და 2000 მან. ძეგლისათვის. გარდა ამისა, უნდა გაიმართოს ხელის-მოწერა ძეგლის თანხის შესადგენად.

შემდეგ ხმ. ბაბოვი აცხადებს—როგორც შევიტყეთ, წელს აგვისტოში, ბორჯომში მობრძანდება მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. საბჭომ უნდა ამოირჩიოს ორი ხმოსანი, რომელნიც სადგურ ხაშურში მიე-

---

ფერს დავაკლებთ, მაგ უთოლავს ძაღლებსა და ეგენიც, მანამ თავისას არ გაიყვანენ, არ მოგვეშვებიან. მაშ სჯობია, შვილებო, გავიდეთ ციხიდამ და ისე შევაკვდეთ, მინამ აქ შიმშილით ამოვსწყდეთ“.

რასაც შენ გვიბრძანებ, ბერაო, ლომისის წმინდა გიორგის მადლს გეფიცებით, უკან არ დავდგებით და მამაცურად შევაკლავთ თავებსა. ბერას სიხარულაის ცრემლებით აევსო თოლები და გვითხრა: «მაშ აი, შვილებო, ჯერ თქვენთვის არ მიჩვენებია ამ ციხის საიდუმლო კარები, რომელიც პირდაპირ მიღმა ხევაში გაგვიყვანს. ერთხელაც კიდენ კარგად მახსოვს, როდესაც ესრედვე შემოგვერტყნენ ციცაიქიტები და მთელი ორი თვე გვებრძოლეს, მაშინ მამაჩემმა გვაჩვენა ეს საიდუმლო კარები და სულ ერთიანად გავიკრიფენით გარეთა. ის წყეულები კი გაძალებულები ესროდნენ თოფებსა. სწორედ იმდროს მოუარეთ უკანიდამა ქისტებსა, როდესაც თოფის სროლა გაეწყვიტნათ და ერთმანეთს უბნებოდნენ: „რას ჩადის ციხეო“. ჩვენც ერთი შაუტივეთ მამაცურად მტერსა და შევაძახეთ; „ემაგას ჩადის ციხეო“. თავზარდაცემულნი ქისტები ეცნენ ერთმანეთსა, რომ აღარ იცოდნენ რა ექნათ, და სულ ერთიანად მუსრი გავავლეთ. აი ჩადის ციხე, სწორედ მაშინ დაერქო ჩვენს ციხესა. როდესაც ეგრედვე მოვიქცეთ, შვილებო, წეღან არა ვთქვი, შიმშილით დამონებას ისევ მამაცურად შევაკლათ თავები მტერსა“. ბერაი მიუბრუნდა დიაცებს და უთხრა: „შვილებო, თქვენ ჩაიკეტეთ მაგრა ეს კარები და ამ ბალღებს ყური უგდეთ, ნუ შეგეშინდებათ, ჩვენ არა გვიშავს რა, ვერაფერს დაგვაკლებენ ძაღლები“. დიაცებმა, რომ გაიგონეს ეს სიტყვები ერთბაშად წამოდგნენ და გვითხრეს: „ეხლა თქვენ მარტოვები გახვიდეთ ციხის გარე და შეებრძოლნოთ მტერსა და ჩვენ კი მივუჯდეთ ციხის ერდოებსა და იქიდან უცქიროთ სეირსა?! არა, არ დაგვიხოცოს ქმარშვილი ჩვენ ეგ არ ვიკისროთ, სადაც თქვენ, ჩვენც იქ უნდა წამოვიდეთ. ჩვენც მოგვეცით მეტმეტი იარაღი და დარწმუნებულები იყავით, რომ არაფერში ჩამოვრჩეთ ურჯულო ქისტებსა და სახელიანად ჩვენაც შევაკლათ თავი“. ჩვენ ბევრი ვუშალეთ, მაგრამ არ დაიშალეს და მივეცით ნათხოვარი იარაღი. ბერამ გაგვიღო საიდუმლო კარები და მართლა პირდაპირ მიღმა ხევაში გავედით. მოგვიბრუნდა ბერაი და გვითხრა: „აბა ჩვენ ეხლა ორად უნდა გავიყარნეთ. ნახევარმა ზევიდან მოვუაროთ და ნახევარმაც ქვემოდანა“. დიაცები გავიდნენ ერთს მხარესა და გვითხრეს: „ჩვენ ზევიდამ მოუვლითო“. ყველამ მოვიმარჯვეთ იარაღები, ვახსენეთ ლომისა და გავწიეთ მტრის საბრძოლველად. შავუტევეთ ერთბაშად ქისტებსა, რომელსაც მოლოდინი არა ჰქონდათ ამ ნაირ ღვთის რისხვისა და გაძალებულები მოხვდნენ ერთმანეთსა კივილ-ხივილითა და ერთი „ალა“-ის ძახილითა, რომლების ხმაც ერთი დღის სავალთ გადიოდა. საკვირველი სანახავები იყვნენ დიაცები, რანაირად ვაჟკაცურად იბრძოდნენ და მუსრს ავლებდნენ ქისტებსა. ბერაის ნახვით ხომ ყველანი გავკვირდით. ხმალ ამოღებული ებრძოდა მედგრად მტრებსა, თვითო შემოკნევით თავს ორად უხეთქავდა ურჯულო ქისტებსა. ბერას და დიაცებს რომ ვხედავდით ესრე შაუპოვრად მებრძოლეთ მტერთა წინაშე, ჩვენც გვმხნევებდა ამათი სიმამაცე და აღარ ვზოგავდით თავებსა, თუ კი როგორმე დავიხსნიდით ჩვენ პატარა სოფლის და სოფელთან ერთად ციხესაც. ბრძოლამ თითქმის მეორე დღემდე გასტანა. ძაღლები ქისტებიც კი არ გვივარდებოდნენ და ისინიც თავ-განწირულები გვებრძოდნენ. უცბად შემოგვესმა ბერაის საზარელი ხმიაი. „ვაიმე, ამ ძაღლმა მომკლაო“! იმ დროს მივხედეთ ბერასა, რა დროსაც უკანასკნელად კიდევ შამოუქნივა ხმალი იმ ურჯულო ქისტს, რომელმაც ხელიდან გამოგვაცალა ჩვენი საყორელი ბერაი და ორივენი თავ-გაჩეხილები დაეცნენ მიწაზე. მაშინვე მივცვივდით ბერას მოსაბრუნებლად, მაგრამ გვიან-ღა იყო, სული და ხორცი იყრებოდნენ. ერთი კიდევ წამოიწია ფეხზე ასადგომად და საზარლად დაიკივლა: „გამიშვით მაგ ურჯულო მამ... უნდა გადაუხადოო“-ო, მაგრამ უსულოდ ისევ მიწაზე დაეცა. ჩვენც, ამ სურათის მნახველთ, ერთბაშად შაუტივეთ ურჯულოთა და სულ ერთიანად მუსრი გავავლეთ, სულ ამოვჟლიტეთ წყეულნი ქისტნი, მხოლოდ ერთაიღა გავუშვით ცოცხალი, რომელსაც დავაჭერინეთ თავიანთ ბელადის თავი ხელში და ვუთხარით: «აი, ძაღლო, წაიღე ეს თქვენაი ბელადის თავაი და მიიტანე თქვენს საქისტეშია და უთხარი, თუ რა მამაცურად დაგხვედრიანთ ჩადის ციხის შვილები“. აი, შვილებო, კიდევ ბევრი ამნაირი ამბები გადაუტანია ჩვენს ციხესა“.

მოხუცებულმა რომ გაათავა ეს ამბავი, ერთი ძალიან ამოიოხრა და რაღაც მწარე ფიქრებმა გაიტაცეს.

— უკაცრავად, შიოლავ, ძალიან დაგღალეთ ამდენი ლაპარაკით—ვუთხარი მე.

— რა ბძანებაა, შვილო, მენ კიდეც მესიამოვნება—კე, რაც ამციხის ამბავს ვიტყვი-კე, ასე მგონია ერთი დიდს ჯავრს ვიშორებ-კე, გულაი რაღაც გამელება-კე. ეჰ, შვილო, წეღან არ გითხარ, სულ გამოიცვალა ქვეყანა. წინად ვაჟკაცებიც მამაცები იყვნენ და დიაცებიც. ეხლანდელი დიაცები გარეთ ვერ გამოდიან, არ გავცივდეთო და ან მზემ არ გაგოშავნოსო. გაჰხედე, შვილო, იმ ბაჩოლებსა, ლამის იმ კლდიდან გადმოცვივდნენ, ეხლა იმათ აქეთ გამორეკა უნდა, მაგრამ ვინ უნდა გავგზავნო, თუ მენ არ წაველ და არ მოვაბრუნე; სამ-სამი რძალაი მიგდი სახლში, მაგრამ შიშით როგორ უთხრა, რომ წადით და ბაჩოლები მააბრუნეთმეთქი, მამყოფენ და სულ უნამუსოდ გამხდიან.

— მე წაველ და დავაბრუნებ, ვუთხარი მე.

— არა, შვილო, შენ როგორ დაგტანჯო, ისევ მე გავხანხალდები და გამოვაბრუნებ.—შენ ეხლავ წაბრძანდებია, შვილო?

მოხუცებული კვნესით ძლივს წამოდგა ფეხზე და მითხრა.

— დიაჰ, ეხლავ წაველ, შიოლავ.

— მაშ მშვიდობით შვილო, ღმერთმა და შენმა სალოცებმა ბედნიერად გამყოფოს.

მე მადლობა გადავუხადე მოხუცს, გამოვემშვიდობე და წამოველ.

ალექსი ოგბაიძე.

გებნენ დიდს მთავარს ქალაქ ტფილისის სახელით.

ხმ. თაიროვი ეკითხება ქალაქის მოურავს—შეგვატყობინეთ გამგეობის დადგენილება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქმნეს შემოტანილი ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან 400,000 მან., რომელიც ხელ-შეკრულობის მეორე მუხლშია აღნიშნული?

როგორც ამის პასუხად წაკითხულ ცნობებიდან სჩანს, უსახელო საზოგადოებას განუცხადებია სურვილი აღნიშნულ 400,000 მანათის პროცენტიან ქაღალდებით გადახდისა; გამგეობა ამ ქაღალდებიდან თავის კუთვნილს ოთხასი ათას მანეთს მიიღებს, ხოლო სარგებელი უკანვე საზოგადოებას დაუბრუნდება, როცა განაღდებული იქნება ეს ქაღალდები; ამ საგანმა ის იყო კამათი გამოიწვია, მაგრამ კამათი შესწყვიტა მოურავმა, რადგანაც ეს საგანი განსახილველად არ იყო დღეს წარდგენილი საბჭოში.

შემდეგ **თავ. ჩირქეზიშვილმა** წაიკითხა გამგეობის დადგენილება, რომ ამორჩეულ იქმნეს სამი ხმოსნისაგან აღმასრულებელი კომისია, რომელიც გამგეობასთან ერთად უნდა შეუდგეს ქალაქის ქუჩების მოკირწყვლის საქმეს.

ქალაქის მოურავი ამბობს, რომ 1900 წელში ორჯელ იყო წარმოდგენილი საბჭოში მოხსენება, რომ ამოგვერჩია კომისია, რომელსაც გამოენახა რაიმე საშუალება ქუჩების მოსაკირწყვლელად, მაგრამ ორჯელვე საბჭომ უარ ჰყო ეს წინადადება, რადგან საშუალება არსაიდან სჩანდა, და ეხლა რადგანაც ქალაქი მიიღებს უსახელო საზოგადოებისაგან 150,000 მან., საჭიროა ქ. გამგეობის დასახმარებლად ამორჩეულ იქმნეს აღმასრულებელი კომისია და რადგანაც ამ საქმისათვის მათ ბევრი შრომა დასჭირდებათ, ამიტომ საჭიროა მათ ჟამიურად ფეხის ქირა 50 მანეთიდან 70 მანეთამდე დაენიშნოსო.

ხ კ. მ. ალიხანოვი. ჩემის აზრით, ძალიან შეცდომაა ამ წინადადების ასე საბჭოში წარმოდგენა. რა აღმასრულებელი კომისია უნდა დავნიშნოთ, როცა არ გვაქვს ყოველ მხრით საგანი შემუშავებული, მაგ., არ არის გეგმა, არ არის დასახელებული, თუ როგორ და რანაირის ქვით იქმნას ქუჩები მოკირწყლული, შედგენილი არ არის ხარჯთ-აღრიცხვა და სხვანი. ამიტომ საჭიროა გამგეობამ უფრო ვრცლად შეიმუშავოს ეს საგანი და შემდეგ მოითხოვოს აღმასრულებელი კომისია; რაც შეეხება კომისიის წევრთა ჯილდოს, ეს მეტად უხერხულად მიმაჩნია.

ხმ. თაიროვი. ჩემის მხრით ვაცხადებ, რომ უკეთესი იქმნება ამ საქმისათვის ყოველივე მასალის მომმზადებელი კომისია ამოვირჩიოთ, რომელმაც გამგეობასთან ერთად ვრცლად შეიმუშაოს ეს საგანი და სექტემბერში წარმოგვიდგინოს განსახილველად.

საბჭომ, ცოტა ხნის კამათის შემდეგ, ხმის უმეტესობით საჭიროდ სცნო მომმზადებელი კომისიის არჩევა და აგრეთვე, თანახმად გამგეობის წევრის თავ. ჩერქეზიშვილისა და ხმ. თაიროვისა, გამოსთქვა აზრი გადადებულ იქმნეს 2000 მან. კომისიისა და გამგეობის განკარგულებაში საქმის შემუშავების დროს საჭირო ხარჯისათვის. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ა. ს. ბაბოვი, ნ. პ. კარაპეტოვი, გრიქუროვი, ვ. კონდურალოვი და ბილფელდი.

შემდეგ, რადგანაც ხმოსანთა საკმაო რიცხვი აღარ აღმოჩნდა საბჭოში, სხდომა დაიხურა ღამის 11 საათზედ. დარჩა საბჭოს 19 საქმე განუხილველი.

პროვინცია

ფოთი. 16 ივნისის საბჭოს სხდომაზე პირველად ქალაქის მოურავის წინადადების თანახმად უნდა აერჩიათ სარევიზიო კომისიის წევრები, რომელთაც უნდა დაევალოთ გამგეობის ყოველ თვიური შემოსავალ-გასავლის რევიზია და შემოწმება ყველა იმ პროცენტიან ქაღალდებისა, რომელიც გამგეობის კასაში ინახება. ბევრს არ სურდა სარევიზიო კომისიის წევრობა, რადგან ეს თანამდებობა თავის ბოლოში რთულ მუშაობას თხოულობსო. თავმჯდომარეს, ცოტა არ იყოს, ეუცხოვა ხმოსნების ასეთი საქციელი და მოახსენა მათ: «ჩვენ მისთვის ვართ არჩეული, რომ ჩვენი მოვალეობა პირნათლად შევასრულოთ. ვისაც არ სურს კომისიაში მონაწილეობა მიიღოს, უმჯობესია, ხმოსნობაზედაც უარი განაცხადოს და ჩვენ მაშინ ავირჩევთ ისეთ პირთ, რომელთაც საზოგადო საქმისათვის მუშაობა არ დაეზარებათ». რადა გზა იყო, ხუთმა ხმოსანმა თანხმობა გამოაცხადა სარევიზიო კომისიის წევრობაზე და აირჩიეს.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ შეატყობინა კრებას, რომ ქუთაისის საქალაქო საკრებულოს დადგენილებით და მთავარ-მმართებლის ნებართვით ქალაქს მიეცემა სათადარიგო თანხიდან 53.959 მ. და 81 კ. ვალების გადასახდელად. ქალაქი შუამდგომლობდა ამ მიზნისათვის 68.647 მან. 82 კაპ. და 1898—1899—1900 წლების დეფიციტის დასაფარავად 15.086 მან. და 77 კ. ეხლა კი ქალაქს ნება ეძლევა სათადარიგო თანხიდან ისესხოს: ა) 1895 და 1896 წლებში წყალდიდობის მიერ გამოწვეულ ხარჯის დასაფარავად 16.600 მან. ბ) რიონის ჩრდილოეთის ტოტზე წყალდიდობის მიერ დანგრეული ხიდის ასაშენებლად 4.500 მან. და 67 კაპ. და გ) ახალი ხიდის ასაშენებლად 31.859 მან. და 14 კ. სულ 53.959—81 კ. შემდეგ სხდომამ მოისმინა მოხსენება გამგეობისა მეორე სათადარიგო სესხის განაღდებაზე, რომელიც მოწონებულია საპორტო და საფინანსო შეერთებულ კომისიის მიერ. როგორც მოხსენებიდგან სჩანს, მეორე სათადარიგო სესხი გამგეობას ვერ გაუნაღდებია, რადგანაც დარწმუნებულა, რომ დღეს დღეობით ობლიგაციების განაღდება ფულის ბაზრის მდგომარეობის გამო ქალაქს აზარალებს. ამისათვის გამგეობას, მიუხედავად ფულის საჭიროებისა, უმჯობესად უცვნია ნაწილი ობლიგაციების დაავგირავოს და აქედან აღებული ფულით გაისტუმროს პორტის მოიჯარადრენი, რომელთაც ეხლა ფული აქვთ მისაღები 24 ივნისს, 1900 წ. პირობის ძალით. ამ საკითხის შესახებ საბჭომ დაადგინა: მიენდოს გამგეობას ამ საქმის გაძღოლა და როგორც ის უკეთ დაინახავს, ისე მოიქცეს.

შემდეგ საბჭომ მოისმინა მოხსენება გამგეობისა «გალკინის» სისტემის ფარნებით ქალაქის განათებაზე. გამგეობის წევრმა ი. ს. ფანცხავამ წარუდგინა კრებას რუსეთის სხვა და სხვა სატეხნიკო საზოგადოებისაგან მიღებული ცნობები. შემდეგ მოახსენა საბჭოს, თუ რა უჯდება დღეს ქალაქს ქუჩების განათება და ან რამდენი ედირება თითო ფარნის შენახვა ელექტრონის ან გალკინის სისტემისა. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ გამგეობა 315 ფარნის ასანთებად ხარჯავს 6000 მანეთს და თუ 100 ფარნას «გალკინის» სისტემისას გამოიყენებს, რომელიც უკეთ გაანათებს ქუჩებს, მაშინ ასი ფარნის შენახვა (თითო დირს 150 მან.) დაუჯდება წლიწადში 5000 მანეთად. მართალია, დღეს ქალაქმა ელექტრონის მანქანა შეიძინა და საცდელად რამდენჯერმე კიდეც გაანათა პორტი და ნიკოლოზის პროსპექტი, მაგრამ რადგან ელექტრონული ფარნის შენახვა ქალაქს საათში 25 კაპ. დაუჯდება და «გალკინის» სისტემის კი 1,5 კ., გამგეობას უმჯობესად დაუნახავს «გალკინის» სისტემის 100 ფარნის გამოიწეროს. სხვა უპირატესობასთან ერთად «გალკინის» სისტემის ფარანი, რავი ერთხელ აენთება, მერმე უზრუნველია და არც ბევრი წმენდა და მოვლა სჭირდება, ასე, რომ ას ფარანს 2 კაცი ადვილად მოუვლის. საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება 18 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 10-ისა.

ბოლოს სხდომას მოხსენდა წინადადება საქართველოს საეკლესიო მუზეუმის თავმჯდომარის უფლად სამღვდელო კირიონის იმის შესახებ, რომ ქალაქმა ფულით შეეწიოს მუზეუმს, ასი წლის რუსეთთან შეერთების დღესასწაულის სახსოვრად, იმ ხელ-ნაწერების გამოცემას, რომელიც მუზეუმში ინახება. ამ საგნის შესახებ საბჭომ ერთხმად 600 მან. გადადვა.

ი. იანეთელი.

საშუალო სკოლის რეფორმა

ყველა იმ პასუხების შესასწავლად, რომელიც მოუვიდა, ან მოუვა საერო განათლების სამინისტროს უმაღლეს, საშუალო და დაბალ სკოლების შესახებ, დაინიშნება განსაკუთრებული კომისია, რომელმაც ამასთანავე უნდა განიხილოს თავად-აზნაურობის, ქალაქის საბჭოების და სხვა დაწესებულებათა თათბირის შედეგებიც.

როგორც ვიცით, საშუალო სკოლის რეფორმის კომისიამ შეიმუშავა ახალ საშუალო სკოლის გაკვეთილების ცხრილი. მოგვყავს უფრო დაწვრილებითი ცნობები ამ ცხრილის შესახებ.

ყველა გაკვეთილების რიცხვი ახალ სკოლაში ერთი კვირის განმავლობაში იქნება 209. სამღვთო სჯულს ასწავლიან ყველა კლასებში და იქნება კვირაში 12 გაკვეთილი. რუსულ ენის, სიტყვიერების და ლოღიკის გაკვეთილი იქნება 30 საათი. ლათინურ ენას დაიწყებენ მე-IV-ე კლასში და კვირაში იქნება 16 გაკვეთილი. პირველ ახალ ენას ასწავლიან ყველა კლასებში და ექნება 20 გაკვეთილი; მეორე ახალი ენა დაიწყება მესამე კლასში და ექნება 16 გაკვეთილი. ისტორიას ასწავლიან ყველა კლასებში და ექნება 19 გაკვეთილი. გეოგრაფია და სამშობლოს შესწავლა იქნება 1—VI კლასებში, სულ 15 გაკვეთილი. კოსმოგრაფიას ექნება მეექვსეში და მეშვიდეში 4 საათი; მათემატიკას 1—VII კლასებში—28 გაკვეთილ, ფიზიკას მეხუთე კლასიდან—9 საათი; ბუნების მეტყველებას პირველ კლასიდან 9 საათი; ხატვასა და ხაზვას—17 და სუფთა წერას—3. ის თექვსმეტი საათი, რომელიც კლასიკურ განყოფილებაში მოხმარდება ლათინურს, რეალურ განყოფილებაში 6 საათს მოახმარებენ ბუნების-მეტყველების საგნებს და 10 ხატვა-ხაზვას.

პირველ, მეორე და მესამე კლასში კვირის განმავლობაში იქნება 26 გაკვეთილი, მეოთხეში—32, მეხუთეში, მე-ქ-ეში და მეშვიდეში—33. გარდა ამისა, 20 საათი გადადებულ იქნება ხელოსნობისათვის და გიმნასტიკისათვის.

სანამ შესდგებოდეს საბოლოო პროექტი ახალის საშუალო სკოლისა და სახელმწიფო საბჭო დაამტკიცებდეს მას, განზრახვაა წელსვე შემოიღონ შემდეგი ცვლილებები: გიმნაზიებში პირველ და მეორე კლასში აღარ იქნება ლათინური და მის მაგიერ პირველ კლასში შემოიღებენ ერთ ახალ ენას და მეორეში უმატებენ ამ ახალ ენის სწავლებას; გარდა ამისა, პირველშიაც და მეორეშიაც შემოიღებენ ისტორიას, უმატებენ ორივე კლასში გეოგრაფიას და მეორეში რუსულს. მესამეში და მეოთხეში უკლებენ ლათინურს და სრულებით მოსპობენ ბერძნულს. სამაგიეროდ ორივე კლასში შემოიღებენ მეორე ახალ ენას, უმატებენ მესამე კლასში პირველ ახალ ენას და მათემატიკას და მეოთხეში—რუსულ ენას, ისტორიას და გეოგრაფიას. რეალურ სასწავლებელში მოაკლდება პირველ და მეორე კლასში ახალ ენას, მეორე კლასში აღარ იქნება მეორე ახალი ენა, ორივე კლასში იქნება ისტორია, ემატება მათემატიკას პირველ კლასში და გეოგრაფიას მეორეში.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ, რათა თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ყველა იმ პირთ, რომელთაც კეთილი ინებეს და მონაწილეობა მიიღეს ჩემ მიერ გამართულ ქართულ-რუსულ წარმოდგენაში 5 ივნისს თელავის სავაჟო სკოლის სასარგებლოდ; სახელობრ: ქნ. თ. ჯაფარიძისას, ქ. ზარაფიშვილისას, ან. ლუკიანოვისას, ა. გლურჯიძისას, ბატ. ა. პეტკევიჩსა, მ. ტურინსკსა, ი. და ლ. ვ-ი ვახიშვილებს და მ. აჯიმამუდოვს. აქვე ვიდგენ ანგარიშს. ბილეთები გვქონდა 129 მ. 90 კ. დაიხარჯა პარიკმახერი, კლუბის დარბაზი, საქველ-მოქმედო მარკები, საზანდარი და სხვა ხარჯი სულ 44 მ. მაშასადამე დარჩა წმინდა შემოსავალი 85 მ. 90 კ.

წარმოდგენის გამგე **მ. ე. ვახვახიშვილისა.**

რედაქტორი	გამომცემელი
ალ. ჭუმბია.	**ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

საყურადღებოდ

ბათუმში, ბაზრის ქუჩაზე, სამოქალაქო სასწორის პირდაპირ, **კობეშავიძის მაღაზიაში** მიღებულია ვარშავიდან სხვა და სხვა ხის და ცინკის

კუბოები

თავისი გვირგვინებით. იქვე იძლევა ქირით ვანები.

(8—91—7) მიხეილ კობეშავიძე.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 22 ივნისს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით **გზის გაკეთება** პეტრე-პავლეს ხიდიდან გადამდებ სენით ავლაბრის ქალაქის ქვენოებამდე; მუშაობის ღირებულობა 2100 მან.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებითი პირობები შეუძლიან განიხილოს გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირაუქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 2 საათამდე. (3—6.—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 22 ივნისს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით **გზაფენილის გაკეთება** მართლ-მადიდებელთა კუკიის სასაფლაომდე ანტონიევის ქუჩის კუთხიდან 1240 ოთხ-კუთხი საჟენის სივრცეზე; მუშაობის ღირებულობა 4900 მან.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებითი პირობები შეუძლიან განიხილოს გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირაუქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 2 საათამდე. (3—6.—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 23 ივნისს ნაშუადღევის 1-ლ საათზე, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით **გზაფენილის გაკეთება** კახეთის გზაზე და ლაზარევის ქუჩაზე 1100 ოთხ-კუთხი საჟენის სივრცეზე; მუშაობის ღირებულობა 2750 მან.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებითი პირობები შეუძლიან განიხილოს გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირაუქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 2 საათამდე. (3—6.—3)

ტარტიუფი ანუ მუზმუზელა 5 მოქ. კომედია მოლიერისა, ფასი 50 კ. იყიდება წიგნ. გამომ. ქართ. ამხ. კანტორაში, ლორის-მელიქოვის ქ. ალექსანდროვის ბაღის კუთხეში.